საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეროიანი მარიამ გიორგის ასული

ბეროიანი მარიამ გიორგის ასული [27. I (8. II). 1892, თბილისი, – 22. VII. 1960, იქვე], სომეხი მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1946).

სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1913 თბილისში. 1922-იდან მსახიობად მუშაობდა თბილ. სომხ. დრამ. თეატრში. მისი შესრულება გამოირჩეოდა ნატიფი გემოვნებით, დახვეწილობით, სისადავით. ასრულებდა სახასიათო, დრამ. და კომ. როლებს. განსაკუთრებული წარმატებით თამაშობდა გ. სუნდუკიანისა (სალომე – „დაქცეული ოჯახი“, ხამფერა – „ხათაბალა“ და სხვ.) და ა. შირვანზადეს (შპანიკი – „ნამუსი“, ზარნიშანი – „ავი სული“ და სხვ.) პიესებში.

იყო საქ. სსრ II – IV მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

შ. ცუცქირიძე